პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 19 თებერვალი 1925 წ. | წლიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 39 (727) 1 და 2 კ. მ. ღ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ვვანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ. | მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონ
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ემზადეთ 8 მარტისათვის.

8 მარტი—მშრომელ ქალთა ...ერთაშორისო დღეა.

ამ დღისათვის ემზადება როგორც დასავლეთის მუშა ქალი, ...ე საბჭოთა კავშირის მშრომელი დედაკაცი. იქ ბურჟუაზიულ ევროპაში პროლეტარი ...ლი ამ დღეს კიდევ ერთხელ ...ამაღლებს თავის საპროტესტო ხმას კაპიტალის ძალადობის წინააღმდეგ, დაათვალიერებს თავის რიგებს, და გაითვალისწინებს რა წარსული ...ძოლის დამოკიდებულებებს, ...ტკიცედ განაგრძობს ბრძოლას მუშა-მამაკაცებთან ერთად კაპიტალიზმის საბოლოო დამხობად.

საბჭოთა კავშირის მშრომელი ქალი შვიდი წელია, რაც განთავისუფლდა ოქტომბრის რევოლიუციის მიერ ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობისაგან და გაუთანასწორდა უფლებრივად მამაკაცს. საბჭოთა კავშირში მუშა—დედაკაცი სარგებლობს იმავე უფლებებით, რაც მშრომელი მამაკაცი.

მაგრამ ერთია უფლების მიღება, სულ სხვაა უფლებით სარგებლობა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არა ყველა მშრომელი ქალები არიან ჩაბმული საზოგადოებრივ—სახელმწიფოებრივ მუშაობაში და არ სარგებლობენ თავის უფლებებით. განსაკუთრებით ამ მხრივ დიდათ ჩამორჩენილია სოფლის დედაკაცი, რომელიც იმყოფება საუკუნოებით შექმნილ ზნე-ჩვეულებების და ტრადიციის ბორკილებში. ...ემდი ჩვენ ვერ შევძელით, რომ ყოველივე დედაკაცი აქტიურად ჩაბმულიყო საერთო მუშაობაში, ისე როგორც ყოველი მუშა—მამაკაცი. ეს კი ...ტის მეტად საჭიროა, ვინაიდან დედაკაცის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც პოლიტიკურ-კულტურულ დარგში, ისე მატერიალური სიმდიდრეთა შექმნის საქმეშიც მეტად დიდია და სრულიად არ ჩამორჩება მამაკაცს.

მარტო ის გარემოება, რომ ქალი მომავალი თაობის აღმზრდელია დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან, რომ მას მიექცეს უდიდესი ყურადღება.

განსაკუთრებით საჭიროა ეს დღეს, როდესაც საბჭოთა ქვეყნების თითქმის ყველა ძალები ჩაბმული არიან აღმშენებლობითი მუშაობაში.

ჩვენს ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ ხელი შეუწყოთ გლეხ-ქალს, რომ ის გამოვიდეს სიბნელედან, უვიცობიდან და ნამდვილად თანასწორი გახდეს მამაკაცის, სხვაფრად ჩვენ სოციალიზმს ვერ დავამყარებთ.

ამიტომაც 8 მარტს, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როდესაც პარტიის და ხელისუფლების წინაშე სდგას მთელი რიგი სერიოზული ამოცანებისა სოფლად, ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა. წლევანდელი 8 მარტი უნდა შეიქნეს იმ ისტორიულ დღეთ, საიდანაც იწყება მშრომელი დედაკაცის ნამდვილი განთავისუფლება საუკუნეთა ტრადიციის და უვიცობის ბრჭყალებისაგან და მისი ჩაბმა ჩვენ საერთო შემოქმედებითი მუშაობაში.

სხვებთან ერთად წითელ-არმიელმაც უნდა დაეხმაროს გლეხი-ქალს, საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლას. საჭიროა ჩვენმა ნაწილებმა ენერგიულად მოკიდონ ხელი 8 მარტისათვის მზადებას და ფართედ გააშუქონ ამ დღის მნიშვნელობა წითელ-არმიელთა შორის.

თითეულ წითელ-არმიელს კარგად უნდა ახსოვდეს ის, რომ როდესაც ის წავა უვადო შვებულებაში სხვა საპასუხისმგებლო მუშაობასთან ერთად სოფლად, როგორც სოფლის მოწინავე ელემენტი, ის ყოველმხრივ უნდა ეხმარებოდეს გლეხი ქალების საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიურად ჩაბმის საქმეს.

ამიტომაც 8 მარტი, უნდა იქნას ღირსეულად აღნიშნული წითელი ჯარის მიერ.

ვემზადოთ 8 მარტისათვის!

## ნავთის სუნი ასდის.

### ალბანეთის საკითხის გარშემო.

### თქვენ არ ხართ პატრონები თქვენს სახელმწიფოში—პატრონები ვართ ჩვენ.

იტალია—ალბანეთის ურთი-ერთობის შესახებ გაზეთი „ეპოკა“ სწერს:

„ჩვენ ვიცოდით, რომ ახმედ-ზოგუ, სანამ ძალა-უფლებასთან მივიდოდა, შეჰპირდა ინგლის-სპარსულ კამპანიას, რომ მისცემდა საექსპლოატაციოდ სამხრეთ ალბანეთის ნავთიან ადგილებს. ჩვენი აზრი გამართლდა. იტალიის მთავრობას მოუხდა პროტესტის განცხადება ამის წინააღმდეგ, ვინაიდან ალბანეთის ნავთიანი ადგილები გამოკვლეულ იქნა ჩვენი მიზღვაურების მიერ ევროპიულ ომის დროს და ამიტომ ალბანეთის მთავრობის მოქმედებას სთვლის იტალია არა კანონიერად.

#### ალბანეთის მარცვაში.

ამ შემთხვევას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იტალიას ხელს უშლის გავლენის გაძლიერებაში არა მარტო ბალკანეთის ნახევარ—კუნძულის აღმოსავლეთის ქვეყნები, არამედ მეზობელი ქვეყნებიც. ალბანია არ უნდა წარმოადგენდეს ჩვენთვის საფრთხეს და ჩვენ არ დაუშვებთ სხვა სახელმწიფოების გაძლიერებას ალბანეთში, რაც ფაქტიურად უდრის ამ ქვეყნის დანაწილებას“.

#### ლამის ერთმანეთს ყელში ეცნენ.

ამერიკამ, საფრანგეთმა, და იტალიამ განუცხადეს პროტესტი ალბანეთის მთავრობას აღნიშნულ კამპანიაზე ნავთიანი ადგილების საექსპლოატაციოდ მიცემისათვის.

## ანტი-საბჭოთა ფრონტი.

### მტაცებლები ეწეობიან თოფითა და ჯინჯილითა. ვანკა ხედავს მათ მზადებას სდგას და კვდება სიცილითა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ—სლავიის მთავრობამ მიმართა რუმინეთს, ბოლგარეთს, ჩეხო—სლოვაკიას და პოლონეთს ნოტით, რომელშიაც წინადადებას აძლევს სასწრაფოდ მოიწვიონ კონფერენცია ბოლშევიკურ „საფრთხის“ წინააღმდეგ ზომების გამოსამუშავებლად; ეს გამოწვეულია ვითომდა „საბჭოთა პროპაგანდის გაძლიერებისაგან ახლო აღმოსავლეთში და წითელი არმიის რეორგანიზაციისაგან.“

ხმებია რომ ბუქარესტში იმავდროს შესდგება მცირე ანტანტის კონფერენცია.

როგორც იტყობინებიან, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ თანხმობა განა ხადა ამ წინადადებაზე.

## ბანკეტი ტოკიოში.

### იაპონია-რუსეთის შეთანხმების გამო.

ტოკიოში გაიმართა დიდი ბანკეტი იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების გამო. ეს ბანკეტი მოაწყო რუსეთ—იაპონიის მეგობართა საზოგადოებამ „ნიჩირო—სოფუკაიმ“ სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით. ბანკეტი ეროვნული დღესასწაულის ხასიათს ატარებდა. დაესწრო 1.000-ზე მეტი კაცი იაპონიის მოსახლეობის თითქმის ყველა წრეებიდან.

ჩიჩერინის დეპეშას აღნიშნულ საზოგადოების მიმართ მხურვალე ტაშით შეხვდა ბანკეტზე მონაწილენი.

## მექრთამეები ასამართლებენ

### ეგრედ წოდებულ გერმანიის „ჩეკას“ პროცესი.

#### ნადირობა სტინესზე.

მეხუთე სხდომაზე გრძელდება ნეიმანის დაკითხვა. თავმჯდომარე არკვევს ორგანიზაციის განზრახვებს სტინესის მოკვლის შესახებ. ნეიმანი ამბობს, რომ მან მიიღო გელმუტიდან ბრძანება „ანგლია“ გაეწმინდა, სტინესისთვის. მას ვუდარაჯებდით, მაგრამ ბოლოს საქმე ჩაგვეშალაო.

შემდეგ ნეიმანი ლაპარაკობს, თუ როგორ აწყობდენ კაპიტალისტ ბორზიკის მოკვლის საქმეს.

## მუშა ქალთა საერთაშორისო დღისთვის.

### გლეხი ქალი აქტიურად უნდა ჩაებას საბჭოთა მუშაობაში.

მუშა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით მიწადმოქმედების კომისარმა სმირნოვმა მისცა ადგილებს დარიგება თუ როგორ უნდა იქნან ჩაბმული გლეხი ქალები საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში.

დარიგებაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ გლეხი ქალები, ვისაც კი ეხერხება, შეყვანილ იქნან სასოფლო-სამეურნეო კურსებზე, ძირა აგრანომიულ უჯრედებში და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო საბჭოებში.

## ფაიჩხუშნენ ალბანეთის ნავთზე.

ალბანეთის მთავრობამ თავისი ნავთის წყაროები გადასცა კონცესიის სახით ინგლისელებს. ამ ამბავმა მეტის-მეტად ააღელვა საფრანგეთი, იტალია და ამერიკა, რომლებმაც პროტესტი განუცხადეს ასეთი საქციელისათვის ალბანეთის ხელისუფლებას. რაშია საქმე? ნუ თუ წარმოსადგენია ის გარემოება, რომ რაღაც ნავთის გულისათვის და ისიც ალბანეთში ძლიერ გაბრაზდენ ასეთი დიდი „მეგობრები“ როგორც ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა არიან? როგორ შეიძლება რომ ამ „პატიოსან მეგობრებმა“ ასეთი უმნიშვნელო ფაქტისთვის თავი შეიწუხეს და იმდენათ განრისხდენ, რომ ოფიციალური პროტესტიც კი განაცხადეს.

აქ ჩვენთვის გაუგებარი არაფერი არ არის.

სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტები მეგობრები არიან მაშინ, როდესაც მათ წინაშე რევოლიუციის საფრთხე იჭრება, ხოლო შეურიგებელი მოწინააღმდეგები არიან ერთმანეთის იქ, სადაც გაყოფაზე ან ახალი ადგილის ხელში ჩაგდებაზე მიდგება საქმე.

თავისი ჯიბეების ინტერესებს ყველაფერს ანაცვალებს კაპიტალისტი.

აქაც ამ მაგალითში საკითხი ეხება ჯიბისა და ბატონობის ინტერესებს.

ალბანეთი პატარა ქვეყანაა, რომელიც დიდი ხანია არაა, რაც ჩამოყალიბდა „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოთ. მისი გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ მას დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ეძლევა.

ალბანეთს ერთის მხრივ იტალია ეპოტინება. მეორეს მხრივ სამხრეთ-სლავია, რომლის უკან სდგას ინგლისის იმპერიალიზმი.

ვინც ამ ორში თავის გავლენის ქვეშ მოიქცევს ალბანეთს მისი ბატონობაც ადრიატიულ ზღვაზე უზრუნველყოფილია.

ამ ჟამად ალბანეთში მბრძანებლობს ცნობილი რეაქციონერი ახმედ-ზოგუ, რომელმაც სამხრეთ-სლავიის დახმარებით და ინგლისის ლოცვა-კურთხევით დაეპატრონა ძალა-უფლებას. ახმედ ზოგუმაც ნიშნათ პატივისცემისა ნავთის კონცესიები დაუთმო თავის მწყალობელ ინგლისსაც. ეს გარემოება სრულიად არ მოსწონს არც ამერიკას და არც საფრანგეთს, რომლებსაც თვით სურდათ ამ ნავთის ხელში ჩაგდება, მაგრამ მსუნაგმა ინგლისის იმპერიალიზმმა მოასწრო მისი მისაკუთრება. ცხადია ეს ამბავი არც იტალიას მოსწონს ვინაიდან მან იცის, რომ ინგლისი მარტო ნავთით არ დაკმაყოფილდება და მისი მძლავრი სამხედრო მეტოქე გახდება ადრიატული ზღვაზე?

რას გვიჩვენებს ჩვენ ყოველივე ეს?

ის კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმ ჭეშმარიტებას, რომ იმპერიალისტურ მთავრობათა ინტერესები იმდენათ შეურიგებელი და ერთმანეთის საწინააღმდეგო არიან, რომ მათი მორიგება არავითარ ძალას არ შეუძლია და ეს წინააღმდეგობანი მყისვე აშკარავდებიან სულ უბრალო მაგალითებშიაც კი, როგორც ამას აქვს ადგილი ალბანეთის ნავთის გარშემო.

ასე რომ ის „სამღვთო კავშირი“, რომელიც მსოფლიო იმპერიალიზმმა შექმნა მსოფლიო რევოლიუციის წინააღმდეგ მეტის მეტად დაბალი ძაფით არის შეკერილი და პროლეტარიატის პირველი შეტევაზევე მყისვე გაირღვევა და გაცამტვერდება.

—ე.

# სომხური დივიზიის 4 წლის თავი.

**სწარმოებს მზადება წითელი არმიის 7 წლის თავის დღესასწაულისათვის. ამავე დროს ჩატარებულ იქნება სომხური დივიზიის მეოთხე წლის თავის დღესასწაული.**

# რიხტერის გადაყენება.

**ერთი წავა და სხვა მოვა...**

პრუსიის მთავრობის დადგენილებით გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან პოლიც—პრეზიდენტი რიხტერი.

# ნათესის მდგომარეობა საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ტერიტორიის დიდ ნაწილში კარგი ამინდები დაიჭირა. პირველი თებერვლიდან კავშირის ევროპის ნაწილში თბილი ამიდების გამო თოვლი გადნა.

დონზე და ყუბანზე ნათესი განთავისუფლდა თოვლისაგან და ალაგ-ალაგ ამწვანდა.

თუ სიცივემ დაჰკრა, მოსალოდნელია ნათესის დაზარალება. ჯერ-ჯერობით წარსულ სიცივეებს არ გაუფუჭებია ზამთრის ნათესი. ქვავის ნათესი თითქმის ასივე პროცენტითაა დაცული ალაგ—ალაგ მცირედ დაზიანდა მხოლოდ ხორბლის ნათესები.

# საქმე სამხკორთა დევნის შესახებ.

ამ დღეებში კიევში № კავალერიის კორპუსის ტრიბუნალი გაარჩევს სამხკორთა დევნის საქმეს.

სამხკორებმა გაზეთ „წითელ-არმიაში" მოათავსეს წერილები მათ ნაწილში არსებულ ნაკლთა შესახებ. მალე რედაქციამ მიიღო აღნიშნულ ცნობების გამაბათილებელი წერილი, რომელსაც ხელს აწერდენ იგივე ავტორები.

როგორც გამოირკვა ეს გამაბათილებელი წერილი ძალად დააწერინეს წითელ-არმიელებს.

ერთი წითელ-არმიელი დასჯილ იქნა დისციპლინარული წესით და გადაყვანილ იქნა სხვა ნაწილში.

# დასასვენებელი დღეები.

რსფსრ—ს ცაკმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ შრომის განყოფილებები გუბპროფსაბჭოებთან შეთანხმებით, გარდა შრომის კოდექსში აღნიშნულ უქმეებისა ყოველ-წლიურად შემოიღებენ 8 დასასვენებელ დღეს. ეს დღეები შეთანხმებული იქნებიან ადგილობრივ ეროვნულ და ყოფა-ცხოვრებითი პირობებთან და აგრეთვე მოსახლეობის შემადგენლობასთან.

# საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**ზუგდიდის მაზრაში.**

— **სო. ხაბუმე.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 29 დეპუტატი. მათ შორის 15 კომუნისტი და 3 ქალი.

— **სოფ. ჩოგა.** საბჭოში აირჩიეს 21 წევრი. აქედან 9 კომუნისტი 1 ქალი.

— **სოფ. ახუთი.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. აირჩიეს 31 დეპუტატი. აქედან 13 კომუნისტია და 3 ქალი.

**სოფ. ლესიჭ ნე.** საბჭოში აირჩიეს 23 დეპუტატი. მათ შორის 12 კომუნისტია.

— **ლეცურცუმე.** საბჭოს არჩევნები დასრულდა. ხალხმა არჩევნებში დიდის ხალისით მიიღო მონაწილეობა.

— **სოფ. ძირცხში.** საბჭოში აირჩიეს 26 წევრი. მათ შორის 10 კომუნისტია და 2 ქალი.

— **სოფ. ჩხოროცყუ.** საბჭოში აირჩიეს 31 დეპუტატი. მათ შორის 18 კომუნისტი და 1 ქალი.

**სიღნაღის მაზრაში.**

აფენის თემში აირჩიეს 47 დეპუტატი. აქედან 23 კომუნისტია და 4 ქალი.

**ფოთის რაიონი.**

სოფ. ყულევში საბჭოში აირჩიეს 9 დეპუტატი. აქედან 7 კომუნისტები და ქალები არიან.

# სამხედრო საქმე

## საშიშია არა საფრთხე, არამედ მოულოდნელობა, უცაბედობა.

საჰაერო ფლოტი სწრაფად ვითარდება.

მომავალ ომში მისი მნიშვნელობა მეტად დიდი იქნება.

შეტევის დროს თავდაცვითი ბრძოლაში და წინსვლის დროს ქვეითი ჯარი მეტად დაზარალდება მისი ბომბებისა და ტყვიამფრქვევებისაგან.

როგორ უნდა იქნას აშორებული ასეთი ზარალი? რით უნდა ებრძოლო მას.?

ქვეითა ჯარმა ფართედ უნდა განავითაროს შენიღბვის საქმე და ეცადოს დაემალოს ჰაერის მტერს.

თუმცა ეს ზომები პასიურია.

საჰაერო ფლოტის წინააღმდეგ აქტიურად ბრძოლა შეიძლება ავიაციითვე და ცეცხლით. ავიაციის მუდმივი დახმარების იმედი ქვეითა ჯარს არ უნდა ჰქონდეს. დაგვრჩენია ცეცხლი. დიდი დახმარება შეუძლია ოთხ თვალზე მოწყობილ ტყვიამფრქვევებს ჰაეროპლანებზე სასროლად.

თუ ჰაერის მოთვალთვალეები იქნებიან დაყენებულნი, ეს ტყვიამფრქვევები არ მისცემენ მტრის ჰაეროპლანებს დაბლა ჩამოშვების საშუალებას. მაგრამ 3 კილომეტრის სიმაღლიდანაც შეუძლიათ მათ სრულიად თავისუფლად ზარალი მიაყენოს ქვეითა ჯარს.

ავიაციასთან უფრო აქტიური ბრძოლა შეუძლია არტილერიას. თუ ქვეითა ჯარს ექნება ჰაეროპლანების საწინააღმდეგო ზარბაზნები, იმ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ქვეითა ჯარი ჰაერიდან თავდასხმისაგან.

მაგრამ ასეთი ზარბაზნები ჩვენ ცოტა მოგვეპოვება. ქვეითა ჯარს ასეთები იშვიათ შემთხვევაში ექნება. მსუბუქი არტილერია კი ჩვენ მუდამ გვექნება.

შეუძლია თუ არა მას ჰაეროპლანების წინააღმდეგ სროლა? შეუძლია თუ არა მას ეხმაროს ქვეითა ჯარს გა[...]ვების დროს?

შეუძლია თუმცა ყოვე[...]ვის არა.

ასეთი სროლისთვის აგებ[...] უნდა იქნას სპეციალური [...]რილები და დასადგამები ზა[...]ბაზნებისათვის. ამიტომ წინ[...]ლის დროს მოძრაობაში [...] (არტილერიას) არ შეუძლ[...] ყოველივე ეს გააკეთოს.

შეტევაზე გადასვლის, მოგ[...]რიებისა და დასვენების დრ[...] მსუბუქი ზარბაზანი ადვილი[...] სახმარია ამ მიზნით.

ჰაერის მტერი საფრთხილო[...]

საშიშია არა საფრთხე, არ[...]მედ მოულოდნელობა და უც[...]ბედობა.

ამ საფრთხის საშიშროებ[...] შესწავლა მშვიდობიან დრო[...] და თავის დროზე საწინააღ[...]დეგო ზომების მიღება, თ[...] სრულიად არ მოსპობენ, საგ[...]რძნობლად შეასუსტებენ მას.

და არტილერიის გამოყენ[...]ბა ქვეითა ჯარის დასაცავ[...] ჰაერის საშიშროებისაგან [...] უკანასკნელი ზომა იქნება.

**ს. კასინოვი.**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ხუთშაბათს, 19 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში (ოთ. № 1) დანიშნულია ტფილისის აღმასკომის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1) ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მუშაობის შესახებ შრომის და დაცვის კომისიის დასკვნა.
მომხ. ინჟ. ჭიჭინაძე.

2) თუგესის ორგანიზაციის შესახებ.
მომხ. ამხ. ასრიევი.

3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

# წითელი არმიის მეშვიდე წლის თავისთვის.

**(ამხ. ფრუნზეს მოხსენება.)**



**ორი პერიოდი.**

16 თებერვალს მოსკოვის გარნიზონის სამხედრო მუშაკთა კრებაზე ამხ. ფრუნზემ გააკეთა მოხსენება წითელი არმიის მეშვიდე წლის თავის შესახებ.

„ჩვენ უნდა გადავავლოთ თვალი—განაცხადა მან—წითელი არმიის მიერ განვლილ გზას და ამასთან ერთად გავითვალისწინოდ ის ამოცანები, რომლებიც წინ გვიდგას. წითელმა არმიამ 7 წლის განმავლობაში გაირა ორი სხვა და სხვა პერიოდი. პირველი პერიოდი—ეს არის მისი შედგენის, ზრდისა და გმირული ბრძოლის პერიოდი შინა და გარეშე მტრების წინააღმდეგ. მეორე პერიოდი იწყება უკვე ომის შემდეგ, როცა წითელი არმია მშვიდობიან მდგომარეობაში გადავიდა.

უკანასკნელ წლებში დაიწყო ჩვენი ეკონომიური აღორძინება. ომებმა ჩვენ ხელში ჩაგვაბარა დანგრეული მეურნეობა.

**საბჭოთა კავშ რი—დიდი ძალაა**

სამეურნეო აღორძინებას მოსდევს პოლიტიკური გაძლიერება. წინად საზოგადოების გამიჯნული ნაწილი, ინტელიგენცია, დღეს ჩვენთან არის.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირი თან-დათან ძლიერდება და ხდება შეძლებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ ძალად.

**ჩვენი გამარჯვება-სულთათანაა ბურჟუაზიისთვის.**

ჩვენი ეკონომიური აღორძინებასთან ერთად იზრდება გარეშე საფრთხეც ჩვენი რესპუბლიკებისთვისაც. რატომ? იმიტომ რომ ჩვენი გაძლიერება სულთათანაა ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ ქვეყნისთვის.

**ანტისაბჭოთა კამპანია.**

ჩვენ გვახსოვს ბოლონდელი დიდი კამპანია ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის მიზნით. ჩვენ ვიცით აგრეთვე პოლონეთისა და რუმინეთის შეიარაღება, რომლებიც თავიანთი ქონების 2 მეხუთედს ომის მიზნებზე ხარჯავენ. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ სწორად მოვიქეცით თუ არა, როცა შევამცირეთ ჩვენი შეიარაღებული ძალები?

ამის პასუხს ჩვენ გავიგებთ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის განხილვით.

**მუშათა მოძრაობის ახალი სახე.**

უკანასკნელ წლებში მუშათა მოძრაობის ხასიათი შეიცვალა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ ვერ გააკეთა ლიკვიდაცია კაპიტალიზმს ომის გათავებისთანავე. დღეს საერთაშორისო მუშათა კლასი იკრებს ძალებს მომავალი ბრძოლისთვის. ეს ჩვენთვის ვერ არის ხელსაყრელი, ვინაიდან ჩვენ მოგვიხდება კაპიტალისტურ რკალში ყოფნა კარგა ხანს. კაპიტალისტური ხელმძღვანელები ხედავენ, რომ დღეს უშუალო საფრთხე მათი არსებობისათვის აღარ არსებობს. ამიტომ მათი პოზიცია ჩვენს მიმართ შეიძლება იყვეს უფრო ზომიერი.

კოლონიალური მოძრაობა ძლიერდება. აფრიკაში, არაბეთში, სპარსეთში, ავღანისტანში და ჩინეთში ძლიერდება ნაციონალური (ეროვნული) მოძრაობა.

ეს სრულებითაც არ აქარწყლებს საფრთხეს ჩვენდამი იმპერიალისტური ქვეყნების მხრივ.

რაც შეეხება უთანხმოებას ჩვენი მტრების ბანაკში, ჯერ-ჯერობით ყველაფერი ძველებურადაა.

რევოლიუციონური მოძრაობით გამოწვეული შეხლა მათ შორის იმდენად ძლიერია და სერიოზული, რომ თვით კოლონიალური ერების აჯანყებისა და ჩვენი გაძლიერების შიშიც კი ვერ აღებინებს მათ ხელს ერთმანეთში დავაზე, რომ გაერთიანდენ ჩვენს წინააღმდეგ და შექმნან მთლიანი ფრონტი".

**რა აჩერებს მტრებს თავს რომ არ გვესხმიან.**

საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება უკარნახებს ჩვენს მტრებს ჩაერიონ ჩვენს საქმეში და თავს დაგვესხან. ჩვენ მშვიდობიანობის გულისთვის მზად ვართ მივიღოთ ცოტათი მაინც ხელსაყრელი წინადადებები, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სამხედრო ძალის გაძლიერებაზე ზრუნვა.

მხოლოდ სამხედრო ძალების გადიდებას შეუძლია შეაჩეროს ჩვენი მტრები ჩვენზე თავდასხმისაგან.

**რა უხაროდათ ჩვენს მტრებს.**

ჩვენს პრესაში წარმოებულმა დისკუსიამ დიდი გეგმები დაუსახა დასავლეთ ბურჟუაზიას. იმათ ეგონათ, რომ ჩვენს პარტიაში მოხდებოდა განხეთქილება და შეუდგენ ჩვენს წინააღმდეგ სახელმწიფოთა კავშირების შედგენას. აამუშავეს აპარატი და ყოველ დღე სთხზავდენ განსაცვიფრებელ ჭორებს გაზეთებში, რომ მოსკოვში არეულობა ხდება, არის შეტაკება ტროცკის მომხრეებსა და ცეკას შორისო და სხვა და სხვა. ისინი ფიქრობდენ, რომ გარემოება ხელსაყრელია, რომ შეუტიოდ და გავანადგუროდ საბჭოთა კავშირიო, მაგრამ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. ჩვენი პარტია ისევ ისე მთლიანად სდგას მშრომელთა ქვეყნის სათავეში.

**ჩვენი მშვიდობიანობის პოლიტიკა უცვლელია.**

ჩვენი მტრები ბევრს ლაყბობენ „წითელი იმპერიალიზმის" შესახებ. მაგრამ ჩვენი მშვიდობიანობის პოლიტიკის დამამტკიცებელი ბევრი რამ არის: განა ჩვენ შევამცირებდით წითელ არმიას, რომ მიზნად გვქონდა ბესარაბიის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების დაპყრობა? განა ჩვენ არ ვიძლეოდით წინადადებებს განიარაღების შესახებ? ყოველივე ეს ამტკიცებს იმას, რომ ჩვენი კურსი მშვიდობიანობის კურსია და მას ჩვენ გავატარებთ ბოლომდის.

მაგრამ ჩვენი მშვიდობიანობის კურსი არ უნდა აიმედებდეს იმპერიალისტებს. ჩვენ იმ წერტილამდე ავიყვანთ კავშირისა და არმიის ძლიერებას, რომელსაც ანგარიშს გაუწევს ყველა ქვეყნები.

**ჩვენი უახლოესი ამოცანები.**

ჩვენი პირველი და უახლოესი ამოცანაა სამხედრო მრეწველობისა და ტეხნიკის გაუ[...]ჯობესება.

მეორე ამოცანაა—გავაძლ[...]ეროთ და ავიყვანოთ სათან[...]დო სიმაღლეზე ტერიტორიალ[...]ური ერთეულები.

მესამე ამოცანაა—წითელ-არ[...]მიელისა და კომანდირის სა[...]რძოლო აღზრდის გაუმჯობე[...]სება.

მეოთხე ამოცანა—ეს არი[...]რკინის, რევოლიუციონური დის[...]ციპლინის განმტკიცება.

მეხუთე ამოცანა არის არმიი[...] აღზრ და ჩვენი დიდი ბელადი[...] ლენინის ანდერძების მიხ დვით[...]

აი უმთავრესი მოთხოვნილე[...]ბანი, რომლებსაც ჩვენ გვიყე[...]ნებს მუშურ—გლეხური სახელ[...]მწიფო.

**დავიხოცებით და არ დავთმო[...]ბთ პოზიციებს.**

მე მაგონდება კურსანტები[...] ბრიგადა, რომელიც მოქმედე[...]ბდა სამხრეთ ფრონტზე ვრან[...]გელის წინააღმდეგ. ეს ბრიგა[...]და დაიღუპა სრულიად, უკანა[...]სკნელ კურსანტამდი, მაგრამ[...] თავისი პოზიცია არ დაუთმია.

იმედი მაქვს ამ ტრადიცია[...] შეითვისებს ჩვენი მომავალი კო[...]მანდრები; ამ ტრადიციას ჩვენი[...] არმია გამოიჩენს იმ მომენტში[...], როცა მუშურ—გლეხური მთავ[...]რობა მოუწოდებს მას". (ისმი[...] მხურვალე ტაში, ინტერნაცი[...]ონალი და ხმები:

„გაუმარჯოს ძველს გვარდი[...]ას!

გაუმარჯოს წითელი არმიის[...] ბელადს, ამხ. ფრუნზეს"!)




## დავაარსეთ სასოფლო-სამეურნეო წრე.

1-ლ ქართულ ლეგიონის სამნეო გუნდში კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს. სანიტარული საათები სისტემატიურად ტარდება.

ამ ბოლო დროს მასწავლებლების ენერგიულმა მეცადინეობამ დამაკმაყოფილებელი ნაყოფი გამოიღო. გუნდში უკვე მოხდა წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაცია. არ არის ჩვენთან არც ერთი წითელ-არმიელი, რომ მან წერა კითხვა არ იცოდეს.

აქვე დაარსდა სასოფლო სამეურნეო წრე, რომლის ხელმძღვანელობა იკისრა ამავე გუნდის უფროსმა ამხ. ჯორჯაძემ. წრემ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო და დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჩვენს წითელ-არმიელებში.

ყველა დიდის ყურადღებით უსმენს ხელმძღვანელს და ეჯიბრებიან ერთმანეთს. უნდა ითქვას რომ, ეს წრე დიდ როლს ითამაშებს ჩვენი არმიელების ცხოვრებაში.

წ. არ. გეხილაძე.

## მავზოლეის მზგავსი მოძრავი ლენინის კუთხე.

პირველ ცალკე მესანგრეთა ასეულის სამხკომმა ძლიერ შეუწყო ხელი ერთი დიდ მნიშვნელოვანი საქმის დაწყებას.

ასეულმა განიზრახა მავზოლეის მზგავსი მოძრავი ლენინის კუთხის მოწყობა.

ამისთვის ასეულის შემადგენლობიდან გამოყოფილი იქნა საჭირო ძალები, როგორიც არიან დურგლები და უკვე შეუდგენ საქმეს. კუთხის მოწყობა სამხკომმა დაავალა ბიურობრის თავს ამხ. გრიგოლიშვილს, რომელსაც დიდ დახმარებას უწევს ბიბლიოთეკის გამგეც.

პირველად ასეულის ბიბლიოთეკა და სამკითხველო ძლიერ ცუდ ოთახებში იყვენ მოთავსებული ამხანაგი არმიელები გაურბოდენ იქ სიარულს სამხკომმა თავის დროზე მიაქცია ამას ყურადღება, ბიბლიოთეკა სამკითხველო მისი განკარგულებით გადმოტანილი იქნა უფრო სინათლიან ოთახებში. მისივე განკარგულებით ბიბგამგეთ დანიშნული იქნა ენერგიული წითელ-არმიელი და მუშაობაც გაჩაღდა.

იმედია ჩვენი არმიელები ეხლა მაინც გახდებიან სამკითხველოს ხშირი სტუმრები. ჩვენი მეთაურები ასე თავგამოდებით ზრუნავენ ჩვენი განვითარებისათვის. საჭიროა ჩვენც გამოვიყენოთ ეს გარემოება.

კარგი იქნება აგრეთვე რომ ჩვენი ბიბგამგე მოაწყობდეს წითელ არმიელებისათვის საბიბლიოთეკო საღამოს კურსებს, სოფელში დაბრუნებისას დიდათ გამოგვადგება ამ დარგში სათანადო ცოდნა და დიდი შედეგებიც შეუძლია მოიტანოს სოფლად ჩვენი მუშაობის დროს.

წით. არმ. ხელთუბნელი.

## ადგილობრივი ხელისუფლება გვეხმარება.

მეოთხე ტერ-ლეგიონის 5-თე ასეული პირველ ხანებში ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. კულტურულ პოლიტიკური ხასიათის მუშაობა მოდუნებული იყო. არ გვქონდა ლენინის კუთხე და სხვა.

ამ გარემოებას მიექცა ყურადღება ნაწილის ხელმძღვანელთა მიერ. ადგილობრივ პარტკომმა მოგვცა 100 მანეთი ასეულში ლენინის და სამხედრო კუთხეების მოსაწყობად.

ამ დღეებში ასეულის ხელმძღვანელები შეუდგებიან კუთხეების მოწყობას.

მადლობის ღირსია როგორც ადგილობრივი ხელისუფლება ისე ჩვენი ათასეულის თავიც, რომლებმაც შესაფერი ყურადღება მოგვაქციეს და საშვალება, მოგვცეს გამოგვეკეთებია კულტურული მუშაობა ასეულში.

ამასთანავე იმედია სხვა ნაკლოვანებებსაც შესაფერი ყურადღება მიექცევა, მაგ. პურის განაწილება, სამზარეულოს სისუფთავე და სხვა მოუწესრიგებლად უნდა ჩაითვალოს. ადგილობრივი აღმასკომი შეგვპირდა სათანადო დახმარებას და იმედია ამასაც მალე შეგვისრულებენ.

სამხკორი კ. ბაღათურია.

## უმცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლის გაერთიანებული კრება.

13 თებერვალს შესდგა საარტილერიო სკოლის კურსანტების და უფ-პოლიტ-შემადგენლობის გაერთიანებული კრება.

კრებაზე გაირჩა:

სკოლის მნიშვნელობა და მისი ამოცანა,

ლენინის კუთხის მოწყობის შესახებ,

კედლის გაზეთის გამოშვების და სარედაქციო კოლეგიის არჩევა, სხვა და სხვა წრეების დაარსების შესახებ და სამხკორების არჩევა.

სკოლის მნიშვნელობის და მის ამოცანების შესახებ ილაპარაკეს სკოლის სამხკომმა ამხ. კვირიკაძემ და სკოლის უფროსმა ამხ. ხევსურიანმა.

ლენინის კუთხის მოწყობის შესახებ განმარტებით გამოვიდა ამხ. მამალაძე, რომელმაც აღნიშნა კუთხის აუცილებლობა. კრებამ საჭიროდ სცნო ლენინის კუთხის დაარსება და აირჩია სათანადო კომისია.

კრებამ აუცილებლად მიიჩნია აგრეთვე კედლის გაზეთი და აირჩია სარედაქციო კოლეგია.

წრეების გარშემო ილაპარაკა ამხ. ცხადაიამ. მან დაახასიათა მათი მნიშვნელობა და მოუწოდა ყველა კურსანტებს ჩაბმულიყვნენ მუშაობაში. დაარსებული იქნა რამოდენიმე წრეები.

სკოლის შემადგენლობამ დაავალა ამხ. ცხადაიას რათა სკოლაში დადგმული იქნას კითხვა-პასუხის ყუთი.

პირველ მოხსენების ირგვლივ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

სამხკორი
**სამუილ ძიროვნელი.**

## საკლუბო სემინარები.

საკლუბო სემინარების მეცადინეობის პირველი ციკლი უკვე დასრულდა.

ციკლი ეხებოდა დაწყებით მუშაობას ლენინის კუთხეებში.

ამ მუშაობის ირგვლივ გაკეთებულ იქნა რამდენიმე მოხსენება თვით საკლუბო მუშაკების მიერ, რის შემდეგაც გამოქონდათ ესა თუ ის დადგენილება მეთოდის მუშაობის ფორმების და სხვა შესახებ.

მეცადინეობა სემინარებში მიმდინარეობდა ნორმალურად, დამსწრენი ხალისიანად ეკიდებოდნენ საქმეს, იჩენდენ აქტიობას, იღებდნენ მონაწილეობას სჯა—ბაასში.

მეცადინეობის შედეგებიც დადებითია: უკვე გარკვეულია დაწყებითი მუშაობის (ლენინის კუთხეებში) ფორმები და მეთოდი. აქამდე თუ პოლიტხელს და ლენინის კუთხის გამგეს არ ჰქონდა საჭირო მასალები სახელმძღვანელოდ ეხლა მას აქვს გარკვეული გზა და მასალა, თუ როგორ აწარმოოს მუშაობა.

სემინარების პირველი ციკლის ყველა მოხსენებები და დადგენილებები გამოვა ცალკე წიგნად.

ე. ხუციშვილი.

## სპორტ-ინტერნის დღე საარტილერიო ლეგიონში.

14 თებერვალს ლეგიონში მოწვეული იქნა წითელ-არმიელთა საერთო კრება სპორტ-ინტერნის საერთაშორისო დღის ჩასატარებლად. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის სპორტ ხელმძღვანელი, რომელიც შეეხო დღის საერთაშორისო ხასიათს, მის მნიშვნელობას და აღნიშნა ის განსხვავება, რომელსაც ადგილი აქვს ბურჟუაზიულ და პროლეტარულ სპორტს შორის.

კრებამ მოისმინა მოხსენება და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ლეგიონის სპორტ-ხელმძღვანელის მოხსენების შემდეგ, რომელმაც გაგვაცნო ფიზკულტურის მნიშვნელობა და აღნიშნა საბჭოთა რესპუბლიკების სპორტ-ორგანიზაციების განსხვავება ბურჟუაზიული ქვეყნების ორგანიზაციებისაგან, საჭიროდ მიგვაჩნია რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩაება ამ საქმეში, რათა მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას მეტი ჯანმრთელი ძალები ჰყავდეს რევოლიუციით მონაპოვართა შესანარჩუნებლად.

გაუმარჯოს პროლეტარული ახალგაზრდობის საერთაშორისო სპორტ-ინტერნს!“

სპარტაძელი.

## მოსპეთ ნაკლოულევანებანი.
## მოგვეცით სინათლე.

აგერ ათი დღე გადის მას შემდეგ, რაც მეოთხე საგაუბიცო ბატარეიის ყაზარმებში სინათლე აღარ არის. ჩამქვრალია სანათურები. ბნელ ყაზარმებში არმიელები ერთმანეთს ველარ ვარჩევთ. ამას რომ თავი დავანებოთ, ველარ ვისრულებთ სურვილს დავსხდეთ ლენინის კუთხეში, ვიკითხოთ და ვიმეცადინოთ რამე.

ბევრჯერ მივსულვართ ელსადგურში, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს. გვეუბნებიან ხვალ გამოუშვებთ შუქსო, მაგრამ დღეები გარბიან და ჩვენ კი უსინათლოდ ვრჩებით.

მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებას. ასეთ სიბნელეში ცხოვრება შეუძლებელია. ბატარეიის ადმინისტრაცია მეტი ყურადღებით უნდა მოეპყროს საქმეს.

წ. არ. გრ. ბარათაშვილი.

# პარტიული ცხოვრება.

## საჭიროა პარტ-სკოლა.

ჩვენი პარტიის და კერძოთ სამხედრო პარტ—ორგანიზაციის ერთ—ერთ უდიდეს ამოცანას წარმოადგენს წევრების პარტ-განათლება.—

ამ მიზნისათვის პოლიტ—განყოფილების მიერ იქმნა გამოცემული პროგრამა „პარტ—განათლებისა წითელ არმიაში“

ჩვენი დივიზიის ყველა სამხედრო ნაწილებმა უკვე დაარსეს და დაიწყეს მეცადინეობა პარტიულ სკოლებში. ამ სკოლებში შედიან, არა მარტო პარტიული ამხანაგები, არამედ ახ. კ. კ. წევრებიც. სამხედრო ნაწილებში უჯრედების დიდი შემადგენლობა, ერთ ყაზარმაში წითელ არმიელების ერთად ცხოვრება, ლიტერატურის შოვნა თავისივე ნაწილის ბიბლიოთეკაში, ყველა ეს პირობები ხელს უწყობენ პარტიულ სკოლებში მეცადინეობის ნორმალურ დონეზე დაყენებას.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ზურგ უკან მდგომ ნაწილების კომუჯრედებში, პარტ—განათლების საკითხი აქ მეტად მწვავედ სდგას. მაგალითად: დივლაზარეთის კომუჯრედში საერთო რიცხვი წევრებისა უდრის —4. აქ ყოვლად შეუძლებელია პარტ-სკოლის დაარსება, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ამ უჯრედის წევრებმა, უნდა დარჩნენ პარტ-განათლების გარეშე.—

პოლიტ-განყოფილების კომუჯრედთან არსებულ პარტ-სკოლის მოკლე ხნის არსებობამ დაგვანახვა, რომ აქაც შექმნილია ისეთი პირობები, რომ ძნელია პარტ-სკოლის მეცადინეობის ნორმალური მსვლელობა. ამ უჯრედის ბევრ წევრებს საყოფი პარტიული მომზადება აქვს, მხოლოდ რჩებიან პარტ-განათლების გარეშე ახ. კ. კ. წევრები, პარტიის კანდიდატები და ზოგი პარტიის წევრებიც. ჩვენის აზრით საჭიროა რომ იქნეს დაარსებული ერთი პარტიული სკოლა დივიზიის სამხედრო დაწესებულებების კომუჯრედების იმ წევრთათვის, რომელსაც ესაჭიროება პარტიული განათლების მიღება, ამისათვის პოლიტგანყოფილებამ უნდა გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები.-

რუდოვსკი.

## 1-ლი ლეგიონის სკოლის კომუჯრედის პირველი კრება.

პირველ ლეგიონის სკოლაში 14 თებერვალს პირველად შესდგა კომუჯრედის საერთო ღია კრება.

კრებას დაესწრენ 31 პარტიის წევრები, კომკავშირლები და სხვა უპარტიო წითელ-არმიელები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

უჯრედის მდივნის არჩევა, სამხედრო ორგანიზაციის კავშირისა და სამოქალაქო კავშირების გაერთიანება და სხვა მიმდინარე საკითხები.

უჯრედის მდივნათ კრებამ ერთხმად აირჩია ამხ. დ. ცინცაძე, როგორც ენერგიული მუშაკი და ყველა დავალების პირნათლად შემსრულებელი.

სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციების კავშირის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ანდღულაძემ. ამხანაგმა დაწვრილებით გააცნო კრებას, თუ რამდენად დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ კავშირს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის.

მიმდინარე საკითხებში შემოტანილი იქნა შეკითხვები წითელ-არმიელებისაგან პარტიაში მიღებისა და სხვათა შესახებ, რასაც გაეცა შესაფერი პასუხი.

ბოლოს კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნულია მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესებისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ახკომკავშირელთა შორის.

### შვიდი ახალგაზრდა შამოემატა ჩვენს კავშირს.

12 თებერვალს შესდგა ცხენოსან ლეგიონის ახ ლგაზრდა ლენ. კომ. კავშირ. წევრების გაერთიანებული კრება. დაესწრენ 36—კომკავშირის წევრები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ახკომკავშირის მომავალი მუშაობა; ახალი წევრების მიღება კავშირში და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დიდიძემ. ის ვრცლად შეეხო საერთოდ კომ. კავშირის მნიშვნელობას, თვითეულ კომ. კავშირის წევრის მოვალეობას ჯარში და იმას, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს მომავალში კომკავშირის მუშაობა. მომხსნებელმა მოუწოდა კრებას უფრო მეტი ინიციატივისა და აქტიურ მუშაობისაკენ.

„არც ერთი კომკავშირის წევრი—კავშირის მოვალეობის გარეშე“—ამ ლოზუნგით გაათავა მოხსენება ამხ. დიდიძემ.

დიდი ინტერესით შეხვდა კრება კავშირში ახალ წევრების მიღების საკითხს. გასარჩევი იყო რვა განცხადება. ეს განცხადებები უკვე დამტკიცებული იყვენ კომუჯრედების მიერ. ეხლა ახ. ლ. კომ. კავშირლების კრებამ უნდა დაამტკიცოს ახალი ამხანაგები კავშირის წევრებად.

— თედორაძე პავლე—ამოიკითხა თავმჯდომარემ „ვარ“.

„რატომ შემოდიხართ ამხ. თედორაძე თქვენ კომ. კავშირში“.

„მე შევიგნე რომ კომუნისტური პარტია არის ნამდვილი პარტია მშრომელ მასისა ე. ი,

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

**წყალდიდობის თავიდან ასაცდენათ.**

გორის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა ცენტრის წინაშე, რათა მოსალოდნელი წყალდიდობისაგან ზარალის თავიდან ასაცდენათ გაკეთებულ იქნეს სანაპირო ჯებირები ყველა საფრთხილო ადგილებზე.

**გლეხკომი ეხმარება ღარიბებს.**

იანვრის განმავლობაში სენაკის სამაზრო გლეხკომმა დაურიგა გაჭივრებულთ და ღარიბებს 30 ფუთნახევარი სიმინდი და ამერიკული ტანისამოსი.

**ჯიშიანი ცხენების მოსაშენებლათ.**

ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს ინგლისური ჯიშის ვაყა ცხენი ქუთაისის ცხენთა საჯიშოსთვის.

**თესლეულობის შესაძენად.**

ქუთაისის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შეიძინოს მაზრის საჭიროებისათვის სხვა და სხვა ხასიათის თესლეულობა, რისთვისაც გადასდო 2082. მანეთი.

**დაქირავების შესახებ სოფლებში.**

გორის აღმასკომმა მისწერა ყველა სათემო აღმასკომებს, რომ სოფლებში აღკრძალულია სოფლის საჭიროებისათვის კაცების დაქირავება გარდა მწყემსისა და მენახირესი.

**მიმოსვლის საჭიროებისათვის.**

ახალ სოფლის (გორ. მაზრა) სათემო აღმასკომს გადასცა სამაზრო აღმასკომმა 300 მანეთი, ცხენების შესაძენათ აღმასკომის საქმეებზე მიმოსვლის საჭიროებისათვის.

**სიმინდის ფასი.**

უკანასკნელი ცნობებით, ახალ-სენაკში ამ ჟამად ფუთი სიმინდი ღირს 75—80 კაპ.

**წერა-კითხვის შესასწავლათ.**

ცხინვალში გაიხსნა 8 წერა-კითხვის სალიკვიდაციო პუნქტი, რომლებზედაც უკვე დაიწყეს მეცადინეობა წ.—კ. უცოდინარებმა.

**გლეხკომების დახმარება.**

ბორჩალოს მაზრის გლეხკომებმა შემოდგომის თესვის კამპანიის დროს დაუხნეს ქვრივობლებს და წითელ-არმიელთა ოჯახებს 30 დეს. მიწა.

**აფთიაქის გახსნა.**

გორის აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სათანადო ადგილზე სოფ. ახალდაბაში აფთიაქის გახსნის შესახებ.

**კოოპერაციის გაძლიერების მიზნით.**

კოოპერაციის გაძლიერების მიზნით, სოფ. ბაიდარის (ბორჩალოს მაზ.) გლეხკომმა, სოფლის ღარიბეს გლეხობის მაგიერ კოოპერატივებში შეიტანა 190 მანეთი გლეხების საწევრო გადასახადათ.

---

გლეხების და მუშებისა და მტკიცედ იცავს მათი ინტერესებს, ამიტომ მეც, როგორც გლეხის შვილს, მინდა შევიდე ახ. კომ. კავშირში, რომელიც წარმოადგენს კომპარტიის რეზერვს და დაიცვა, თუ გინდ იარაღით ხელში მუშურ-გლეხური ხელისუფლება".

„შეეკითხეთ კიდევ ამხანაგს—მოუწოდებს კრებას თავმჯდომარე.

„როდის დაარსდა კომ. კავშირი საქართველოში"? „ვინ იყო მისი ხელმძღვანელი"?, „რა არის პარტია"?, როდის დაარსდა კომკავშირი რუსეთში"? და მრავალი სხვა საკითხებზე თამამათ უპასუხებდენ კავშირში შემომსვლელი ამხანაგები.

სულ გაირჩა რვა განცხადება, ამადგან შვიდი ამხანაგი მიღებული იქნა კრების მიერ, თითქმის ერთხმად.

მერვე ამხანაგის—განცხადების შესახებ კრებამ დაადგინა, რათა ის გარჩეული იქნეს ექვსი თვის შემდეგ.

მიმდინარე საკითხებში წამოიჭრა მრავალი საინტერესო საკითხები, როგორც: გაზეთის გამოწერა სოფლისთვის, პირადი საქმეების ჩამოტანის შესახებ მაზრებიდან და სხვა.

**გეზი.**

---

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

**ერთეულის თავის თანაშემწის მოვალეობანი და უფლებანი სამხედრო დარგში.**

არა ერთხელ გვსმენია სხვა და სხვა გაუგებრობების და კონფლიქტების შესახებ, რომლებსაც იმიტომ აქვს ადგილი ერთეულებში, რომ ზოგიერთი პირები საკმარისად ვერ ერკვევიან სამხედრო დარგში ერთეულების თავის თანაშემწის მოვალეობის და უფლებების საკითხებში. ამიტომ საჭიროა მისი სათანადოთ გაშუქება.

უწინარეს ყოვლისა, როგორც საერთო წესი, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთეულის ყოველივე დარგის მდგომარეობის პასუხისმგებლობა და მათ რიცხვში სამხედრო დარგისაც, სავსებით და სრულიად აწევს ერთეულის თავს, ხოლო სამხედრო დარგის ტეხნიკურად წარმოებაში პასუხისმგებელი კი არის—ერთეულის თავის თანაშემწე სამხედრო დარგში. მაშასადამე ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია ყველა განკარგულებებში სამხედრო ნაწილში და ამავე დროს ის ამავე დარგის ყველა თანამდებობის პირთა უფროსია (თავის ნაწილში), ხოლო თვითონ კი უშუალოდ ემორჩილება ერთეულის თავს.

ერთეულის ყველა მწყობრის უფროსები, შტაბის უფროსიდან დაწყებული—ქვეით, იმყოფებიან (სამხედრო დარგში) ერთეულის თავის თანაშემწის კონტროლის ქვეშ, რომლის კანონიერი სახელმძღვანელო და ტეხნიკური ჩვენებები სავალდებულოა ყველასთვის.

სამხედრო დარგში, ერთეულის მწყობრ ნაწილის ცხოვრებასთან დაკავშირებულ განკარგულებებს, იძლევა ერთეულის უფროსის თანაშემწე სამხედრო დარგში, ერთეულის თავის წინასწარ მოხსენებით და მისივე სახელით. სამხედრო დარგში ბრძანებების მოსაზრულობა (პროექტი) შედგენილი და ხელმოწერილი უნდა იქნეს ხსენებულ თანაშემწის მიერ, რის შემდეგ ერთეულის თავი უკვე ამტკიცებს და აცხადებს ერთეულის მწყობრ ნაწილის ბრძანებების ბოლოში თავის ხელმოწერით. ამასთან ბრძანებებში გამოცხადებულ (სამხედრო დარგის) ყველა ანგარიშების სისწორეზე, პასუხს აგებს აღნიშნულ დარგში ერთეულის თავის თანაშემწე.

ყველა სამხედრო ხასიათის მიწერ-მოწერას დაწესებულებებთან და გარეშე პირებთან აწარმოებს აღნიშნული თანაშემწე თავისი და სამხკომის ხელის მოწერით, გარდა დივიზიის უფროსთან ან უმაღლეს ინსტანციებში გაგზავნილ მიწერილობებისა, როდესაც ხელს აწერენ: ერთეულის თავი, სამხკომი და თანაშემწე სამხედრო დარგში.

წინა წერილებში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თუ რამდენად მჭიდროდაა გადახლართული ერთმანეთთან ერთეულის სამხედრო და სამწყობრო ნაწილების მუშაობა და ამას გარდა რამდენად საჭირო და არსებითია, რომ ყველა ერთეულის თავს და პოლიტ-მომუშავეს ჰქონდეს თავის ნაწილში სათანადო ავტორიტეტი. ასეთივე ავტორიტეტი საჭიროა თვითეულ სამხედრო მუშაკისთვისაც.

აქ უადგილო არ იქნება მოვიყვანოთ ს. ს. რ. კ.—რ. ს. ს. წევრის ამხ. უნშლიხტის სიტყვები: **„დროა შევიგნოთ, რომ სამხედრო მუშაკი, რომელიც სათანადოდ ასრულებს თავის ფუნქციებს, არაა ნაკლები საომარ რაზმის უფროსზე".** მაშასადამე, როგორც საერთოდ ყველა სამხედრო მუშაკისთვის, აგრეთვე განსაკუთრებით ერთეულის უფროსის თანაშემწის მუშაობისათვის სამხედრო დარგში, ამ ძნელსა და საპასუხისმგებლო საქმის შესრულებისათვის უნდა იყოს ხელ-შემწყობი პირობები, ამისთვის კი აუცილებელია, რათა ერთეულის მთელი შემადგენლობის მიერ თავიანთ კანონიერ მოვალეობის ასრულების გარდა ხდებოდეს მათი ერთმანეთისადმი მხარის დაჭერა და დახმარება.

შემდეგში მე შევეხები ერთეულის სხვა პირების უფლებებს და მოვალეობას სამხედრო დარგში.

**ს. შაკუნი.**

---

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **ქალაქის სასაკლაოზე.** გასულ წელს დაიკლა 123.876 სული საქონელი, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე 1921 წელს.

— **კანალიზაციის გასაყვანათ.** ტფილ. აღმასკომის სანიტარულ-ტეხნიკური სექცია შეუდგა საჭირო მასალების დამზადებას ტფილისის უბნებში კანალიზაციის გასაყვანათ.

— **ახალი ნიხრი წამლეულობაზე.** შინავაჭრობის სახალხო კომისარიატმა უკვე დაამტკიცა წამლეულობაზე ახალი (გაიაფებული) ნიხრი.

— **თივის დამზადება.** ცეკავშირი შეუდგა ჩრდილოეთ კავკასიაში თივის დამზადებას. უკვე დამზადებულია 150.000 ფუთი.

— **გამქირავებელ პუნქტებში.** გასულ წელს მიწ.-მოქ. ყველა გამქირავებელმა პუნქტებმა იმუშავეს 5 ათას სამუშაო დღეზე მეტი.

— **საქსოვ ქარხანაში.** ცეკავშირის საქსოვ ქარხანაში ნაჭრობით მუშაობაზე გადასვლის შემდეგ შრომის ნაყოფიერება ორათ გაიზარდა.

---

# ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲮᲜᲘᲙᲐ

**ორი ახალი პლანეტების აღმოჩენა.**

ყირიმის ნახევარ კუნძულის სამხრეთის ნაწილში, ერთი ვერსის დაცილებით სიმეაზიდან, ერთ მაღალ მთაზე მოთავსებულია ობსერვატორია. პირველად ეს ობსერვატორია ეკუთვნოდა მდიდარ მალცოვს. ამჟამად ის გადაკეთებულია რუსეთის მთავარი ობსერვატორიის განყოფილებად.

ყირიმის კუნძულზე თეთრ-გვარდიელების ბატონობის დროს, ობსერვატორიის სამეცნიერო თანამშრომლებს და განსაკუთრებით განყოფილების გამგეს არა ერთხელ განუცდიათ კონტრ-რევოლიუციონერებისაგან სასტიკი დევნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ობსერვატორიამ საგრძნობლად გააფართოვა თავისი მუშაობა. დაჭერილ იქნა საზღვარ-გარეთის სხვა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებებთან კავშირი, დაიწყო სპეციალური ხასიათის ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლა და სხვა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ობსერვატორიის გამგემ ამხ. ბელიავსკიმ აღმოაჩინა ორი ახალი პლანეტები, რომლებსაც მან უწოდა „ვლადილენა" და „მარტინა".

პირველი ამხ. ლენინის, ხოლო მეორე კი ფრანგი კომუნისტის ამხ. მარტის პატივსაცემლად.

ამხ. ბელიავსკის მიერ აღმოჩენილ პლანეტების სახელწოდებანი ცნობილი იქნა უცხოეთის ობსერვატორიების მიერ.

**ჰაეროპლანი უმფრინ ოთ.**

ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს იყო გავრცელებული ხმები, თითქოს გერმანელები მოწინააღმდეგის წინააღმდეგ უშვებდენ ამაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთულ ჰაეროპლანებს უმფრინაოთ, რომლებიც მივიდოდენ დანიშნულ ადგილას დაეშვებოდენ ძირს და აფეთქდებოდენ.

ეს ხმები მაშინ არ გამართლებულა, მაგრამ როგორც იუწყებიან საფრანგეთში კი განუხორციელებიათ ეს იდეა ამჟამად.

1924 წ. დასაწყისში მოხდინეს ასეთი ცდა. ეტამპის ჰაეროდრომიდან საფრანგეთის ჰაეროპლანი უმფრინაოთ ავიდა 300 მეტრის სიმაღლეზე, ამ მაღლეზე დაფრინავდა 8 წუთის განმავლობაში, შემდეგ ავიდა მაღლა 800 მეტრის სიმაღლემდე ფრინავდა 10 წუთის განმავლობაში და შემდეგ კი დაეშვა იმ ადგილზე საიდანაც ავარინდა. ყველაფერი ეს აპარატმა შეასრულა წინდაწინვე მიცემული ამოცანების თანახმად.

აპარატის ძირიდან მართავს სწარმოებს რადიო ტალღების საშვალებით, რომლებიც ადგილიდან მიანის სურვილისამებრ ამოძრავებს და მიმართავს ჰაეროპლანებს.

---

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

**ამხ. ნ-ს.** თქვენი წერილი „მეთაურთა სკოლის კომუჯრედის შესახებ" არ გავა. ამის შესახებ უკვე მოთავსდა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

**ამხ. ამხ. ჭილაძეს და ბ გელს.** გთხოვთ შემოიაროთ რედაქციაში.

---

# ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ.

მესამე ლეგიონის ბიურო-კოლექტივში ქვემოდ დასახელებულმა ამხანაგებმა შემოიტანეს განცხადება პარტიაში მიღების და წევრებად გადარიცხვის შესახებ.

ბ.-კოლექტივი სთხოვს იმ პირებს და ამხანაგებს, რომელთაც აქვთ რაიმე მამხილებელი საბუთები აღნიშნულ ამხანაგების წინააღმდეგ გვაცნობონ ერთი კვირის განმავლობაში ასეთები მეექვსე ლეგიონის ბიურო-კოლექტივში (კუკიის ყაზარმები).

1. **პარტიაში კომ-კავშირიდან კანდიდატათ.**

1. მელქაძე ვარლამი ივანეს-ძე 2. თევდორაშვილი ვლადიმერ ამირანის-ძე 3. ხომერიკი გიორგი პეტრეს-ძე 4. გვარამია რემანოზ ევგენის-ძე 5. ჩხარტიშვილი გიორგი მიხეილის-ძე 6. ოდიშარია დავით კონსტანტინეს-ძე 7. გეგენავა ვლადიმერ ყარამანის-ძე 8. თავართქილაძე ნოე ესეს-ძე 9. წულაია ნიკოლოზ ვარდენის-ძე 10. გიგინეიშვილი კონსტანტინე სოლომონის-ძე.

2. **მიღება უპარტიოს პარტიაში კანდიდატათ.**

11. ცხვედიანი ბესარიონ ალექსის-ძე 12. პაიჭაძე დიმიდე ბესარიონის-ძე 13. ყურუა გიორგი გრიგორის-ძე 14. დვალიშვილი ნიკოლოზ ბაგრატის-ძე 15. კოკაია ლეონიდ ანდრიას-ძე 16. ყურუა გრიგორი ოლიფანტეს-ძე 17. შაიხევი კამრასამ შლავანის-ძე 18. ჩილაია ბიქტორი ბახდის-ძე 19. ლორთქიფანიძე ვლადიმერ დიმიტრის-ძე 20. გურგენიძე გრიგოლი ნიკოს-ძე 21. გურგენიძე მარკოზ შალიკოს-ძე 22. სულაბერიძე თედორე ნიკოს-ძე 23. ნაფეტვრიძე შალვა ა... ქიფოს-ძე 24. კვაჭაძე არტემ ილარიონის-ძე 25. ჩხიკვაძე ვლადიმერ სტეფანეს-ძე 26. პეტრიაშვილი პლატონ მელქისედეკის-ძე 27. სუთიძე აკაკი შიოს-ძე 28. ლოლუა სამსონ მიხეილის-ძე.

ბ. **გადაყვანა პარტიის წევრად.**

29. ჩოდრიშვილი ილარიონ საბას-ძე.

**ბ.-კოლექტივის მდივანი**

---

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

---

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ.

ხუთშაბათს, 19 თებერვალს საღამოს 6 საათზე, დივიზ. ცენტრ. ბიბლიოთეკაში შესდგება ბიბ—სემინარის მორიგი მეცადინეობა. სავალდებულოა ყველა ბიბ—გამგეების და ... თი თანაშემწეების დასწრება.

ბიბ—სემინარის ხელმძღვანელი—**ე. მურადოვა.**

---

პარტ—კომისიის მიერ პარტიის წევრებათ დამტკიცებულ იმ ამხანაგებისათვის, რომლებისთვისაც უნ დადაგვერიგებ... ერთიანი ბილეთი ჯერ-ჯერობით ვერ დაურიგებთ, რადგან ბ... თები არ მოგვეპოება. ბილეთების მიღებისთანავე გამოცხადებული იქნება დარიგების დრო.

**1-ლ დივიზიის პარტ—კომისია.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა იუაასსაგი ქ. № 3.